

IV კურსისათვის (2006-2010 წწ.)
საბაკალავრო პროგრამა

1. პროგრამის დასახელება: ეკონომიკა – **ECONOMICS**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალური მეცნიერების ბაკალავრო
BSc in Social Sciences

3. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი (კოორდინატორი): **სრული პროფესორი ნოდარ ხაღური**

4. საბაკალავრო პროგრამის საკვალთმომარაგებელი დახასიათება

• **მიზანი და ამოცანები**

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული ეკონომიკური ცოდნა, შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიკურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

პროგრამის ამოცანებში შედის სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო და არჩევითი კურსების შესწავლას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შექმნას;
- დამატებით (minor) სპეციალობის დაუფლებას;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;
- სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას.

პროგრამა იძლევა ეკონომიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაგმატულად ორიენტირებული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. პროგრამაში მთავარი ყურადღება ექცევა თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზს, კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის ჩვევების გამომუშავებას.

• **აქტუალურობა.**

“ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამყარებით, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკაში კარდინალური ცვლილებები შეიტანა. საქართველო ღია ეკონომიკის გზას დაადგა, ხოლო გლობალურ ეკონომიკურ გარემოში საქმიანობამ კი ეკონომიკის ცოდნაზე განსაკუთრებული მოთხოვნა წარმოშვა. “ეკონომიკის“ სპეციალობა სუვერენული სახელმწიფოს

ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის ამალღების შესაძლებლობას იძლევა. საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკას ეფუძნება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს ეკონომიკის სფეროებისათვის სპეციალისტთა მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება და, შესაბამისად, შესწევს უნარი უზრუნველყოს მათი მომზადება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

- **პრაქტიკა.** სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პარლამენტის აპარატსა და სხვადასხვა სამინისტროების სტრუქტურებში, ბანკებში, ეროვნულ და საერთაშორისო ფირმებში. თვითდაფინანსების საფუძველზე შესაძლებელია უცხოეთში სტაჟირება.

- **სწავლის შედეგი.**

სოციალური მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ ზოგადი/ტრანსფერული და ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარები, გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ ცოდნის ყველა ასპექტი შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ გააჩნიათ საბაზისო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში, შეუძლიათ ამ ცოდნის ინტეგრირება ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;
- ✓ გაცნობიერებული აქვთ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი, შესწავლილი აქვთ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო-, მაკრო- და საერთაშორისო დონეებზე,
- ✓ ფლობენ ეკონომიკაში აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- ✓ გაცნობიერებული აქვთ ეკონომიკაში არსებული ფაქტები და მოვლენები, თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და კანონზომიერებები;
- ✓ ფლობენ ეკონომიკური, სავაჭრო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ფორმირების ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს;
- ✓ აცნობიერებენ გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებსა და ძირითად კანონზომიერებებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს;
- ✓ გაცნობიერებული აქვთ ეკონომიკური ზრდის პრობლემები და შესაძლებლობები;
- ✓ აქვთ ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

- ✓ გააჩნიათ ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები;
- ✓ გააჩნიათ ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია;
- ✓ შეუძლიათ ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება;

- ✓ შეუძლიათ ფინანსური და სხვა სააღრიცხვო მონაცემების დამუშავება, დანახარჯების ანალიზი და ოპტიმიზაცია;
- ✓ გააჩნიათ ეკონომიკის სფეროს შესაბამისი სპეციალური კომპეტენცია, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარ-ჩვევები;
- ✓ გააჩნიათ ეკონომიკური პრობლემების ანალიტიკური კვლევისა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები;
- ✓ შეუძლიათ დინამიკურ ეკონომიკურ კონიუნქტურასთან ადაპტაცია;
- ✓ შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

2. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

- ✓ **კოგნიტური უნარები:** აქვთ ეკონომიკის ძირითადი იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ✓ **ტექნოლოგიური უნარები:** აქვთ ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- ✓ **სოციალური უნარები:** აქვთ პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;
- ✓ **ლინგვისტური უნარები:** შეუძლიათ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენებზე.

- **დასაქმების სფეროები.**

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად და ექსპერტად სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროსთან. კერძოდ კი კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის აპარატი და სამთავრობო სტრუქტურები;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურები;
- ✓ ნებისმიერი სფეროსა და საკუთრების საწარმოები და ფირმები;
- ✓ ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები;
- ✓ სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები;
- ✓ არასამთავრობო დაწესებულებები და ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

- **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

ეკონომიკის სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მომზადებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ნებისმიერ სპეციალობაზე, აგრეთვე მომიჯნავე სპეციალობებზე მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

5. საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე

პირი. კონკურსანტი აბარებს მისაღებ გამოცდებს ეროვნულ საგამოცდო ცენტრში საკონსურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით.

6. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) – 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

სოციალური მეცნიერების ბაკალავრი ძირითადი სპეციალობის (major) გარდა, ვალდებულია დაეუფლოს დამატებით (minor) სპეციალობას მომიჯნავე სპეციალობაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზღვრებში. სტუდენტს დამატებით (minor) სპეციალობად შეუძლია აირჩიოს სხვა ფაკულტეტების მონათესავე სპეციალობებიც. ამ შემთხვევაში კურიკულუმში წარმოდგენილი დამატებითი (minor) სპეციალობის საგნები შეიცვლება სხვა ფაკულტეტების მიერ დამატებით (minor) სპეციალობად შემოთავაზებული საგნებით.

240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- 10 კრედიტი მოდის თავისუფალ კრედიტებზე;
- 85 კრედიტი – ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნებზე ;
- 60 კრედიტი – დამატებით (minor) სპეციალობაზე;
- 15 კრედიტი – მოდულის საგნებზე ;
- 50 კრედიტი – საფაკულტეტო დისციპლინებზე;

კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა არის 60 .

სპეციალობის არჩევითი მოდულების კურსები გათვალისწინებულია V-VIII სემესტრებში. V სემესტრში სტუდენტი შემოთავაზებული არჩევითი მოდულებიდან ირჩევს ერთ-ერთს და 4 სემესტრის განმავლობაში ამ მოდულში იღებს გადმაგებულ სპეციალიზებულ ცოდნას.

ეკონომიკის პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საფაკულტეტო კურსები / მოდულები			
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები			
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
	ეკონომიკის პრინციპები	10	90 / 160
	კალკულუსი	10	90 / 160
	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5	45 / 80
	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის	5	45 / 80
	ბუღალტერიის საფუძვლები	5	45 / 80
	შესავალი ინფორმატიკაში	5	45 / 80
	უცხო ენა	10	90 / 160

საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები / მოდულები			
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
	თავისუფალი კრედიტების არჩევითი საგნები	10	
	აკადემიური წერა	5	45 / 80
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი	5	45 / 80
	დამატებითი სპეციალობის დისციპლინები – Minor	60	
	ბიზნესის საფუძვლები	10	90 / 160
	მენეჯმენტის საფუძვლები	5	45 / 80
	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	45 / 80
	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	45 / 80
	მარკეტინგის საფუძვლები	10	90 / 160
	ფინანსური აღრიცხვა	5	45 / 80
	მმართველობითი აღრიცხვა	5	45 / 80
	კორპორაციის ფინანსები	10	90 / 160
	ფული, ინვესტიციები და საბანკო საქმე	5	45 / 80
სპეციალობის (სპეციალიზაციის) საგაღდებულო კურსები / მოდულები			
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
	მიკროეკონომიკა	10	90 / 160
	მაკროეკონომიკა	10	90 / 160
	ეკონომეტრიკა	5	45 / 80
	ეროვნული ანგარიშების სისტემა	5	45 / 80
	შრომის ეკონომიკა	5	45 / 80
	საერთაშორისო ეკონომიკა	10	90 / 160
	ეკონომიკური პოლიტიკა	10	90 / 160
	ეკონომიკური ანალიზი	5	45 / 80
	საჯარო ფინანსები	5	45 / 80
	ეკონომიკური აზრის ისტორია	10	90 / 160
	პრაქტიკა	10	90 / 160
სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები			
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
	მსოფლიო ეკონომიკა	5	45 / 80
	ბიზნესის ეტიკა		45 / 80
	საქართველოს ეკონომიკა	5	45 / 80
	შესავალი მასპინძლობის ინდუსტრიაში		45 / 80
	ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფიის საფუძვლები	5	45 / 80
	ეკონომიკის ისტორია		45 / 80
	მოდული: ეკონომიკური თეორია	15	180 / 320

მოდული: მიკროეკონომიკა	15	180 / 320
მოდული: მაკროეკონომიკა	15	180 / 320
მოდული: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	15	180 / 320
მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა	15	180 / 320
მოდული: შრომის ეკონომიკა	15	180 / 320
მოდული: ეკონომეტრიკა	15	180 / 320
მოდული: ეკონომიკური სტატისტიკა	15	180 / 320
საბაკალავრო ნაშრომი		
საბაკალავრო ნაშრომი	ECTS კრედიტები	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
		საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)
		სწავლების სემესტრი/სემესტრები

სპეციალობა: ეკონომიკა – 01

მოდულები 2006-2010 სასწ. წლები

№	დისციპლინის დასახელება	კრედიტები	III კურსი		IV კურსი	
			V	VI	VII	VIII
მოდული: ეკონომიკური თეორია		15		5	5	5
1	ინსტიტუციური ეკონომიკა	5		5		
2	თანამედროვე ეკონომიკური დოქტრინები	5			5	
3	გლობალური ეკონომიკა	5				5

მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა		15		5	5	5
1	კონკურენცია და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა	5		5		
2	ეროვნული ეკონომიკის პოლიტიკა	5			5	
3	საინვესტიციო პოლიტიკა	5				5

მოდული: საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა		15		5	5	5
1	საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები	5				5

2	ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო ინვესტიციები	5		5		
3	მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება	5			5	

მოდული: მაკროეკონომიკა		15		5	5	5
1	ეკონომიკური განვითარება	5		5		
2	მაკროეკონომიკური პროგნოზირება	5			5	
3	მაკროეკონომიკური პოლიტიკა	5				5

მოდული: მიკროეკონომიკა		15		5	5	5
1	ფირმის ეკონომიკა	5		5		
2	მენეჯერული ეკონომიკა	5			5	
3	დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა	5				5

მოდული: ეკონომიკური სტატისტიკა		15		5	5	5
1	საერთაშორისო სტატისტიკა	5		5		
2	სოციალური სტატისტიკა	5			5	
3	სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში	5				5

მოდული: შრომის ეკონომიკა		15		5	5	5
1	მოსახლეობის ეკონომიკა	5		5		
2	შრომის ბაზარი	5			5	
3	სოციალური პოლიტიკა	5				5

მოდული: ეკონომეტრიკა		15		5	5	5
1	მათემატიკა 2	5		5		
2	ოპერაციათა გამოკვლევა	5			5	

3	მათემატიკური მოდელირება ეკონომიკაში	5			5
---	-------------------------------------	---	--	--	---

8. მათემატიკურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ X კორპუსის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასები სტუდენტებს მისცემენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებსა და ტუტორებთან.